



N13 28 იანვარი 2016 წ. PRESS ფასი 1 ლარი... WWW.ALIA.GE

„ქართული ოცნების“ ყველაზე მხურვალე წევრებიც კი ხვდებიან, რომ მთავრობას კომპეტენცია არ აქვს – რატიანი



ვინ გვატყუებს ხელისუფლება თუ საერთაშორისო ორგანიზაცია?



ლარის გაუფასურებაზე მეტად ინფლაციის უნდა გვეშინოდეს



მოახლოვდა არჩევნები და... ნეტა, ბოლოს როდის იმეზაფრეს ამ ბატონებმა მეტროთი?



თბილისის საკრებულოში დეკემბერში გაცემულმა პრემია-დანამატებმა 567 225 ლარი შეადგინა



### ვალერი გელაახიანი: „ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ფიქრობს, რომ პოლიტიკაში მიიღოს მონაწილეობა“


ვინ არის ირაკლი რუხაძე და რატომ უბირისბირდება ბიძინა ივანიშვილს?



### რა შემოუთვალა რუსეთმა საქართველოს ხელისუფლებას ვალერი ხარუჩანიას პირით?

რატომ დუმს ვახტანგ გომელაური?

### რატომ აპირებს სახელმწიფო ონლაინ კაზინოების აკრძალვას?




ვაჰტი... აბაჰი... მოვლენა... ვაჰტი... აბაჰი... მოვლენა... ვაჰტი... აბაჰი... მოვლენა... ვაჰტი... აბაჰი... მოვლენა... ვაჰტი... აბაჰი... მოვლენა...

ისლანდიის მოქალაქეებმა საბანკო კრედიტების გადახდაზე უარი განაცხადეს




გუბერნატორების ადმინისტრაციებში 2015 წელს პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით 1 114 928.69 ლარი გაიცა



რატომ უნდა ვაკუროთოთ ჯვარი, სანამ მის ტარებას გადაგწყვეტო



საქართველოში პირველად ერთსქესიანთა ქორწინების დაშვებისთვის სამართლებრივი ბრძოლა იწყება



„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ეხმაურება, რომელიც სამხედრო მოსამსახურეების არჩევნებში მონაწილეობის წესს ეხება.

გორის პირთა ხმებით შესაძლო მანიაქული რისკები ისევ რჩება. 2012 წლის არჩევნების შემდეგ ხელისუფლების ინიციატივით შემცირდა სპეციალური უბნების რაოდენობა, რაც დადებითი ფაქტი იყო. მიუხედავად ამისა, სამხედრო მოსამსახურეების არჩევნებში მონაწილეობის საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწა ხელისუფლების დღის წესრიგში 2015

### „ხელისუფლება სამხედრო მოსამსახურეების ხმის მიცემის წესს არსებითად არ ცვლის“ – არასამთავრობოები



– აღნიშნული ცვლილებებით უქმდება სპეციალური უბნების შექმნის შესაძლებლობა სამხედრო ნაწილებში და უფრო დეტალურად განისაზღვრება სამხედრო მოსამსახურეთა არჩევნებში მონაწილეობის ცალკეული საკითხები, რაც დადებითად უნდა შეხლეს ხელისუფლების პროექტი არსებითად ვერ ცვლის სამხედრო მოსამსახურეების მიერ არჩევნებში მონაწილეობის კუთხით არსებულ პრობლემას. სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მათი დისლოკაციის ადგილას არ არიან რეგისტრირებული, კვლავ ექნებათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ მაჟორიტარული სისტემით გამართულ არჩევნებში, რითაც აღნიშნული კატე-

წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების შემდეგ დადგა, როდესაც გამოითქვა ექვი, რომ არჩევნების დღემდე სამხედრო ნაწილის/ნაწილების გადაადგილება სხვა საარჩევნო ოლქში მიზნად ისახავდა კონკრეტული პოლიტიკური ძალის მაჟორიტარული კანდიდატის მხარდამჭერთა რიცხვის ხელშეწყობას. ვაპირებთ, ჩვენი რეკომენდაციები საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარვადგინოთ პარლამენტში. მოგუწოდებთ ხელისუფლებას, გადახედოს საკუთარ ინიციატივას და სამხედრო მოსამსახურეების არჩევნებში მონაწილეობის კუთხით არსებითი ხასიათის ცვლილებები განხორციელოს, – აღნიშნულია განცხადებაში. (ნოზაძე)

### მოახლოვდა არჩევნები და... ნეტა, ბოლოს როდის იმეზაყურეს ამ ბატონებმა მეტროთი?



„თავისუფალმა დემოკრატებმა“ კამპანია „მოქალაქის ხმის“ მეორე ფაზა დაიწყო, რომლის ფარგლებშიც პარტიის პროგრამის ეკონომიკური ხედვის ძირითადი გზავნილები გლდანში, ახმეტელის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს, მოვაჭრეებსა და მოსახლეობას გააცნეს. პარტიის ლიდერებმა მათ მცირე და მიკრობიზნესის განვითარებისთვის ახალი წინადადებები წარუდგინეს. „თავისუფალი დემოკრატები“ მთავარი გზავნილებია: 1. მიკრობიზნესის სტატუსი მიენიჭება ფიზიკურ პირებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 50 000 ლარს (30,000 ლარის ნაცვლად). 2. ფიქსირებული გადასახადის აქტიურად გამოყენება და მისი

არეალის გაფართოება. 3. „ფინანსური პოლიციის“ გაუქმება და საგამოძიებო ფუნქციის განხორციელება, მხოლოდ საგადასახადო შემოსემების დასკვნის საფუძველზე. 4. ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია. 5. გადასახადის შეცდომით არასწორად გადახდის დეკრიმინალიზაცია. 6. შემოსულების სამსახურის მიერ საბანკო ანგარიშების გაყინვა/დაყადლების დაუშვებლობა სასამართლო გადანაცვლებების გარეშე. 7. მხოლოდ განაწილებული მოგების დაბეგრვა, გაუნაწილებელი არ დაიბეგრება. კამპანია „მოქალაქის ხმა“ თბილისის ყველა უბანში გაგრძელდება. „თავისუფალი დემოკრატები“ ლიდერები ქვეყნის განვითარების ხედვის მიმართულებებს მოსახლეობას სხვადასხვა უბნებში პირადად გააცნობენ. (მარტოვი რედაქტორი)

### საქართველოში ყველაზე მაღალი ხელფასი საფინანსო საქმიანობაშია – სტატისტიკის ეროვნული სამსახური




საქსტატის ინფორმაციით, საქართველოში ყველაზე მაღალი ხელფასი საფინანსო საქმიანობაშია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2015 წლის მესამე კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 930 ლარი შეადგინა, 2015 წლის მეორე კვარტალთან შედარებით საშუალო ხელფასი 0,4 პროცენტით შემცირდა, ხოლო 2014 წლის მესამე კვარტალთან შედარებით 9,3 პროცენტით არის გაზრდილი. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი დაფიქსირდა საფინანსო სექტორში – 1500 ლარი. მეორე ადგილზეა მშენებლობა – 1413 ლარით, ხოლო მესამეზე სახელმწიფო მმართველობა – 1313 ლარით. ყველაზე დაბალი ხელფასი კი განათლების სფეროშია – თვეში საშუალოდ 470 ლარი. საფინანსო სექტორში, სახელმწიფო მმართველობასა და განათლებაში მეორე კვარტალთან შედარებით საშუალო ხელფასი შემცირდა, ხოლო მშენებლობაში – გაიზარდა, – ნათქვამია განცხადებაში. (mediasp.ge)

### გამსახურდია: რატომ ოცნებობს ყველა წესიერად მოუყნავი ქართველი ქალი პოლიტიკოსი მარგარეტ ტეტჩერობაზე?



ცოტენი გამსახურდია სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს: – აუ, მე მამაჩემი, რასაც ახლა ვიტყვი, რა, არც პოლიტიკაში ქალების წინააღმდეგი ვარ და არც გენდერული დისკრიმინაციის მომხრე, გოგოს მამა ვარ, ბოლო-ბოლო! ისიც კარგად ვიცი, რაოდენ ძნელია საქართველოში დღეს (ჯერ კიდევ) ქალისთვის ნებისმიერ სფეროში გზის გაკვლევა პათროსანი შრომით და ნეპოტიზმის გარეშე... მაგრამ: გამაგებინეთ, რატომ ოცნებობს აქ ყველა წესიერად მოუყნავი ქართველი ქალი პოლიტიკოსი მარგარეტ ტეტჩერობაზე? მისაბაძი ქალ პოლიტიკოსთა სახეები დაილია? (marshpress)

### გუბერნატორების ადმინისტრაციებში 2015 წელს პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით 1 114 928.69 ლარი გაიცა



2015 წელს სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით 1 114 928.69 ლარი გაიცა, მათ შორის პრემია – 463 817.5 ლარი, სახელფასო დანამატი კი – 680 111.19 ლარი. ამის შესახებ ინფორმაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ აქვეყნებს. ორგანიზაციის ინფორმაციით, 2012-2014 წლებთან შედარებით, შემცირებულია პრემიების გაცემის სიხშირე და ოდენობა, თუმცა 2015 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სახელფასო დანამატის გაცემის მაჩვენებელი. 2015 წლის განმავლობაში სახელფასო დანამატი ყველა სამხარეო ადმინისტრაციაში ყოველთვიურად გაიცემოდა. თანამდებობის პირთა მიერ აღებული პრემიისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ასევე, გურიის სამხარეო ადმინისტრაციებშია მოგვანოდეს. სხვა სამხარეო ადმინისტრაციების მიერ მონოდედებულ ინფორმაციაში კი, მხოლოდ წლის მანძილზე პრემიისა და დანამატის სახით გაცემული თანხის ჯამური ოდენობა ასახული, – ნათქვამია კვლევაში. ორგანიზაციის ინფორმაციით, 2015 წელს პრემიის სახით ყველაზე დიდი თანხა 63 960 ლარის ოდენობით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გაიცა; 2015 წელს სახელფასო დანამატის სახით ყველაზე დიდი თანხა გაიცა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში – 167 712.26 ლარის ოდენობით. (მეტროპოლიტიკოსი)

კვლევის მიხედვით, 2015 წელს გაცემული პრემიისა და სახელფასო დანამატის საერთო მაჩვენებელია პირველ ადგილზე სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია (204 769.76 ლარი). 2015 წელს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორს, პარმენ მარგველიძეს სახელფასო დანამატის სახით დაერიცხა 35 400 ლარი, პრემია კი – 2 950 ლარი (საერთო ოდენობა – 38 350 ლარი); გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ, რომელიც ამ თანამდებობაზე 2015 წლის მაისიდან იმყოფება, 2015 წელს სახელფასო დანამატის სახით მიიღო 22 668 ლარი, პრემია კი 2 950 ლარის ოდენობით; გურიის გუბერნატორის გია სალუქვაძის მოადგილემ, ქეთევან მოისწრაფიშვილმა, რომელიც 2015 წლის მაისამდე გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი იყო, 2015 წელს სახელფასო დანამატი – 12 732 ლარი, ხოლო პრემია 2 360 ლარი მიიღო. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ასევე შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ დიდი ალბათობით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ასევე გურიის გუბერნატორების მსგავსად, სახელფასო დანამატს ყოველთვიურად იღებდნენ სხვა გუბერნატორებიც, – ნათქვამია კვლევაში. (მეტროპოლიტიკოსი)

### ევროკავშირთან ინტეგრაციას კი არა, ბატონო პრემიერო, „ოცნებას“ რა მოაქვს ქვეყნისთვის, ის ვერ გაგაგებინეთ აქდენი წელი!



– საქართველოს მთავრობა რეგიონებში ევროკავშირის სხვადასხვა პროგრამის ხელშეწყობის გაზრდის მიმართულებით სტრატეგიულ კომუნიკაციას აძლიერებს, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სხდომაზე განაცხადა. პრემიერის თქმით, დაიგეგმება მნიშვნელოვანი კამპანია ყველა მიმართულებით, რათა მოსახლეობა ინფორმირებული იყოს იმ დახმარების პროგრამების შესახებ, რომელსაც საქართველო იღებს ევროკავშირისგან ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმების, ასევე, სოფლის მეურნეო-

ბის მიმართულებით და სხვადასხვა სახის twinning-ის პროგრამების მეშვეობით. – საქართველოს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, რა სიკეთეები მოაქვს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს, როგორ ხდება ქვეყნის ტრანსფორმაცია იმ მიმართულებით, რომ საქართველოში ცხოვრება იყოს უკეთესი, რათა ნებისმიერი ადამიანისთვის გაფართოვდეს შესაძლებლობათა სპექტრი, რომ მიიღოს უკეთესი განათლება, კომპანიებმა განახორციელონ ექსპორტი ევროპის ბაზრებზე და ა.შ., – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. (ნოზაძე)



ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ალექსი ელისაშვილისა და ე.წ. კოკაინის საქმეზე ბრალდებული ანასტასია ზაუტაშვილის შეხვედრის ფაქტს სოციალურ ქსელში ეხმაურება და პროკურატურას მიმართავს.

– აი, როგორ არ გამოვეხმაურო ამ ყოველად უღირსი, ცრუმონის ბოლო ნამოქმედარს?! როგორც ჩანს, ელისაშვილს ხელში ისე შემოეფტქნა მისივე

ჰყავს ადამიანს და ის არ აუცილებია?! იქნებ საკუთარ ტყავს უფროთილდები?! სად გაგონილა საქმეში ერთი მონმე მეორეს დაცვას უნიშნავდეს, რატომ?! შენს ინტერესებში რომ იმოქმედოს, იმიტომ?! და ახლა ვინმე დაიჯერებს, რომ შენ მართლა პატიმრის ბედი გადარდებს?!  
თანაგვიგრძობ, ასე როგორ გაგიჭირდა, თავად გასაჭირში მყოფი პატიმ-

### „ანეკდოტური ვითარებაა, უშიშროების საბჭოს სხდომებზე დასწრებასთან დაკავშირებით“



პრეზიდენტმა უშიშროების საბჭო 29 იანვრის სხდომის მოიწვიო. შეხვედრა ავღანეთის რეზიდენციაში გაიმართება და მასზე საბჭოს მუდმივ წევრებს, მათ შორის პრემიერ-მინისტრსაც ელოდება.

### ლარის გაუფასურებაზე მეტად ინფლაციის უნდა გვეშინოდეს



– საქართველოში ლარის გაუფასურების ნაცვლად, უკვე ლარის ინფლაციასთან გვაქვს საქმე, – ამის შესახებ „საქართველოს უნივერსიტეტის“ პროფესორმა გია ჯაფარიძემ რადიო „პალიტრის“ გადაცემა „საქმეში“ განაცხადა.

ბის მისაღებად კი უფრო მეტი რეფორმის გატარებაა საჭირო. – მოკლევადიან პერსპექტივაში, გამოსავალს ამ სიტუაციაში ვერ ვხედავ. ჩვენ უნდა ვიფიქროთ საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. უნდა შევწყვიტოთ ეკონომიკაში ხშირად მავნებელი, გაუგებარი პოლიტიკის გატარება. ის ზომები, რომლებიც მთავრობამ გამოაცხადა, რა თქმა უნდა, მოკლევადიან პერსპექტივაში შედეგს ვერ მოიტანს. ეფექტი დღესვე ექნება, მაგრამ ეს არ იქნება ისეთი ეფექტი, რომ ლარი ძველ ნიშნულამდე – 1,68-მდე დაგვინიოთ. ეს ახლა ვერ მოხდება, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, შეიძლება, მოხდეს.


### „სინდისმა შეგაწუსა?! თანაგვიგრძობ, ასე როგორ გაგიჭირდა“ – კობახიძე ელისაშვილისა და ზაუტაშვილის შესყდრაზე



ფანტაზიები, რომ საშველად ციხეში პატიმარს მიაკითხა, ებოდიშა, დახმარებას შეჰპირდა, ახალი ადვოკატი შესთავაზა... ვიდრე რამეს განაცხადებ და მოსთხოვ პროკურატურას, ჯერ იმ საჩივრებისა და განცხადებების ბედი მოიკითხე, რაც პარლამენტიდან ამ საქმესთან დაკავშირებით პირადად მაქვს გადაგზავნილი. მე რომ პოლიტიკური ქსელების დაწერა მდომოდა ამ საქმეზე, შენსავით ვირბენდი ეთერებში სულელური განცხადებებით! დიას, ყოველგვარი პოლიტიკური ქვეტექსტის გარეშე, ჩემს საქმეს ვაკეთებდი, გამოძიების განახლებას ვითხოვდი და წამებაზე ძიების დაწყებას, ხოდა შედეგი რომ ჭიანჭურდებოდა, ამიტომ ითხოვა იმ ხალხმა შეწყალება (უკვე მერამდენედ ვამბობ), თუმცა ზუსტად შენ, პოლიტიკური ქსელების ჩასანერად, საბოლოოდ განიერ ეს ადამიანები. ხოდა ახლა სინდისმა შეგაწუსა?! ამიტომ სთავაზობ ახლა დახმარებას?! ადვოკატს უნიშნავ, როცა მოქმედი ადვოკატი

რით ეცადო სამარცხვინო მდგომარეობიდან თავის დაღწევას?! და ახლა მიემართავ პროკურატურას, დროულად დაასრულოს ამ ცრუ-პენტელა ადამიანის მიერ გავრცელებული ჭორის საფუძველზე დაწყებული გამოძიება! ან დაამტკიცეთ, რომ ნაძირალა, მექრთამე, კორუმპირებული, უღირსი დეპუტატი ვარ ან ადამიანს აგებინეთ პასუხი ცრუ დასმენისთვის, გამოძიების მიმართ ხელშეშლისთვის, ჩვენების მიცემაზე უარისთვის და კიდევ რა გითხრათ?  
ორი სიმართლე არ არსებობს და ამის გარკვევას განა რამდენი დრო სჭირდება?! და კიდევ, იქნებ სჯობდა, თავიდანვე რიგითობა დაგეცვია და ამ ყბადაღებულ საქმეში 2011 წლიდან მოყოლებული, ჯერ ჩემი და პატიმრების გამოგზავნილი საჩივრებისთვის გეპასუხებათ სათანადოდ და შემდეგ ელისაშვილის ზღაპრებისთვის! – წერს კობახიძე. (წყობილი)

### თბილისის საკრებულოში დეკემბერში გაცემულმა პრემია-დანამატებმა 567 225 ლარი შეადგინა



არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორი“, თბილისის საკრებულოდან გამოთხოვილი ოფიციალური მონაცემების საფუძველზე, კვლევის შედეგებს აქვეყნებს.

მონაცემები თბილისის საკრებულოს თანამდებობის პირების, აპარატის შტაბით გათვალისწინებული და შტაბგარეშე მომსახურე თანამშრომლების მიერ დეკემბერში პრემიისა და დანამატის სახით მიღებულ თანხებს მოიცავს. „მედიატორის“ მონაცემებით, დეკემბერში საკრებულოს 26 დეპუტატის ანაზღაურებამ 63 800 ლარი შეადგინა, 24-მა დეპუტატმა (თანამდებობის პირ-

ბი) დანამატის სახით 37 871 ლარი მიიღო. – აპარატის თანამშრომლების სარგომ 253 364 ლარი, პრემიამ – 366 963 ლარი, ხოლო დანამატმა – 113 564 ლარი შეადგინა. საკრებულოს შტაბგარეშე თანამშრომლებმა დეკემბერში სარგოს სახით – 310 173 ლარი, ხოლო პრემიის სახით – 48 827 ლარი მიიღეს. სულ გაცემული პრემიების თანხობრივმა მაჩვენებელმა – 415 790 ლარი, დანამატების მაჩვენებელმა – 151 435 ლარი, ხოლო პრემია-დანამატების ჯამმა 567 225 ლარი შეადგინა, – ნათქვამია „მედიატორის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. (წყობილი)

**სს „ხრამჭესი 2“ აცხადებს №X2-2016-9 ფასთა ღია გამოკითხვას სხვადასხვა დანიშნულების სახარჯი მასალის შესყიდვასთან დაკავშირებით:**

ლოტი 4 - სხვადასხვა ტიპის საპოხი მასალა;

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დანვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჭესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჭესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 11 თებერვალი 15 საათი.

**სს „ხრამჭესი 1“ განმეორებით აცხადებს №X1-2016-8 ფასთა ღია გამოკითხვას სხვადასხვა დანიშნულების სახარჯი მასალის შესყიდვასთან დაკავშირებით:**

ლოტი 4 - სხვადასხვა ტიპის საპოხი მასალა;

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დანვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჭესი 1“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჭესი 1“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 11 თებერვალი 15 საათი.

**სს „ხრამჭესი 1“ განმეორებით აცხადებს №X1-2016-14 ფასთა ღია გამოკითხვას საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დანვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჭესი 1“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჭესი 1“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 11 თებერვალი 15 საათი.

**სს „ხრამჭესი 2“ განმეორებით აცხადებს №X2-2016-17 ფასთა ღია გამოკითხვას საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დანვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჭესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჭესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 11 თებერვალი 15 საათი.














გსმენიათ, რა მოხდა 23 ოქტომბერს ისლანდიაში? საერთაშორეოდ, არა და იცით რატომ? იმიტომ, რომ მასზე მსოფლიო მედიაში არავის გაუმახვილებია ყურადღება.

ევრო უნდა გადაეხადა, რომ დაეფარა ბანკის ვალი მეორე კერძო პირის მიმართ. ამ მიზეზებმა მშვიდი ისლანდიელების აღშფოთება გამოიწვია და ქვეყანაში არეულობების ახალი ტალღა დაიწყო.

### ისლანდიის მოქალაქეებმა საბანკო კრედიტების გადასდაზე უარი განაცხადეს



ისლანდიის მთავრობა იძულებული გახდა, მოსახლეობისთვის მხარი დაეჭირა. პრეზიდენტმა ოლაფურ რაგნარ გრიმსონმა პარლამენტის მიერ

### თედო ჯაფარიძე როგორც ჩანს, საქართველოში ყველა ერკვევა დიპლომატიაში, ისევე როგორც ფეხბურთში



საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე ალექსანდრე ქანთარიას განცხადებას პასუხობს და ამბობს, რომ, როგორც ჩანს, საქართველოში ყველა ერკვევა საგარეო ურთიერთობებში, დიპლომატიაში, ისევე როგორც ფეხბურთში.

### ალექსანდრე ელისაშვილის პასუხი მანანა კობახიძეს: ხელფასზე დამოკიდებული კაცი ვარ, მაგდენი არც შემიძლია...



საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილი საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს მიმართავს და აღნიშნავს, რომ მას ანასტასია ზაუტაშვილისთვის ადვოკატი არ აუყვანია, უბრალოდ, კარგი ადვოკატის აყვანა შესთავაზა.



ტი ვურჩიე. ისეთი, ვინც მას არც ფულს გამოსძალავს და არც პოლიტიკური სპეკულაციებისთვის გამოიყენებს.

„დემოკრატიულ პროცესებს“ აკონტროლებს უმრავლესობა და არა უმცირესობა.

მიღებული კანონის დამტკიცებაზე უარი თქვა და რეფერენდუმის ჩატარებას დაეთანხმა. პრეზიდენტის ამ ქმედებას მოჰყვა „თავისუფალი მსოფლიოს საერთაშორისო საზოგადოებისთვის“ დამახასიათებელი რეაქცია – ისლანდიაზე უმრავლესობის ზენოლა – ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ბრიტანეთი და ჰოლანდია ისლანდიას მკაცრი ეკონომიკური სანქციების გატარებას ჰპირდებოდა.

### თინა ხიდაშელი არ მაინტერესებს ქვეყნის მთავარი გამყალბების მისიელ მაჭავარიანის კომენტარები არჩევნებთან დაკავშირებით



თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატ მისიელ მაჭავარიანის ბრალდებების საპასუხოდ განაცხადა, რომ არ აინტერესებს 20 წლის განმავლობაში ქვეყნის მთავარი გამყალბების მისიელ მაჭავარიანის კომენტარები არჩევნებთან დაკავშირებით.

### ბესელია Human Rights Watch-ის ანგარიშზე – „ორგანიზაციას ინფორმაცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიაწოდა“



Human Rights Watch-ის 2015 წლის ანგარიშს, სადაც ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ საქართველოში არამდგრადი მდგომარეობის შესახება საუბარი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ეხმაურება და ამბობს, რომ ორგანიზაციას ინფორმაცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიაწოდა.

საუბარი არ არის და ადამიანის უფლებათა მხრივ საქართველოში დარღვევები ყოველთვის იქნება, თუმცა სახელმწიფო მათ გამოსასწორებლად მუშაობს.

ამ ანგარიშში, კონკრეტული დარღვევის დროს საუბარია იმაზე, რომ ინფორმაცია მონოდელეგალია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ და მითითებულია მათი წყარო – ანუ მათი განმარტებით, მათი სიტყვებით, ასე ამბობს ანგარიშში და არა ის, რომ მტკიცებით ფორმალურ პრობლემაზე.

2015 წლის 23 ოქტომბერს ისლანდიაში რეფერენდუმში ჩატარდა, რომელზეც ქვეყნის ახალი კონსტიტუცია მიიღეს. ეს რეფერენდუმი ისლანდიაში 2008 წელს დაწყებული არეულობების უკანასკნელი აკორდი იყო. ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც ისლანდიელებმა მოულოდნელად გაიგეს, რომ ფინანსური კრიზისის შედეგად ქვეყანა გააკოტრდა. ბოლო 5 წლის განმავლობაში აყვავებული ეკონომიკის შედეგად ეს მოულოდნელი შედეგი იყო.

რეფერენდუმში 2010 წლის მარტში ჩატარდა. მონაწილეების 93-მა პროცენტმა უარი თქვა უცხოელი კრედიტორების ვალის გასტუმრებაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) დაფინანსება სასწრაფოდ შეაჩერა. მოქალაქეების მხარდაჭერით მთავრობამ ფინანსური კრიზისის გამომწვევ პირთა ძებნა დაიწყო. ინტერპოლმა Kaupthing-ის ბანკის პრეზიდენტის დასაჭერად საერთაშორისო ორდერი გასცა. ქვეყნიდან გაიქცნენ სხვა ბანკერებიც.

2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ისლანდიის აყვავებული ეკონომიკისთვის სასიკვდილო დარტყმად იქცა. ქვეყნის 3 მთავარი ბანკი: Landbanki, Kaupthing და Glitnir გააკოტრდა და სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა, ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაში 85 პროცენტით გაუფასურდა. წლის ბოლოს კი ისლანდიამ გააკოტრება გამოაცხადა.


ისლანდიელები მიღწეულზე არ შეჩერდნენ და ახალი კონსტიტუციის მიღება გადაწყვიტეს. 2010 წელს ნაციონალურმა ასამბლეამ აირჩია 950 უბრალო მოქალაქე, რომლებმაც ახალი კანონპროექტი შეიმუშავეს. მის დასამუშავებლად შეიქმნა 25-კაციანი საკონსტიტუციო საბჭო, რომელმაც მოსახლეობისგან სოციალური ქსელებით მიღებული რჩევები გაითვალისწინა და ერთიანი დოკუმენტი ჩამოაყალიბა.

ბანკების კრახიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ისლანდიელები ქუჩაში გამოვიდნენ იმ ბანკებისა და პოლიტიკოსების წინააღმდეგ, რომლებმაც კრიზისის განვითარებას ხელი არ შეუშალეს. ამის გამო მთავრობა იძულებული გახდა, გადაემდგარიყო. არჩევნები 2009 წლის აპრილში ჩატარდა, მთავრობაში შემარცხნენ კოალიცია მოვიდა, რომელმაც, ერთი მხრივ, დაგმო ნეოლიბერალური ეკონომიკური სისტემა და ამავედროულად, დაეთანხმა მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის მოთხოვნებს, დაეფარა ისლანდიის ბანკების 3,5 მილიარდი ევროს რაოდენობის ვალი.

23 ოქტომბერს ჩატარებული რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის 66-მა პროცენტმა. აქედან ახალი კონსტიტუციის მიღება ხმა 80-მა პროცენტმა მისცა.

ისლანდიის ყოველ მოქალაქეს 15 წლის განმავლობაში, ყოველთვე 100

### „ქართული ოცნების“ ყველაზე მსურველი წევრებიც კი ხვდებიან, რომ მთავრობას კომპეტენცია არ აქვს – რატომ



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრ სერგო რატანის განცხადებით, ნუკრი ქანთარია განცხადება ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ მთავრობის არაკომპეტენტობას აღიარებს.



მასურა. ქანთარია რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყებას აუცილებლად მიიჩნევს, თუმცა, მისი თქმით, საგარეო საქმეთა მინისტრ მხივლ ჯანგლიძის საამისოდ გამოცდილება აკლია და თუ დღის წესრიგში მოლაპარაკებები დადგა, რუსეთის მთავარ დიპლომატს თედო ჯაფარიძე უნდა შეხვდეს.



### მეცნიერებმა მოიფიქრეს, როგორ დაიცვან კაზინოს სტუმრები დიდი წაგებისგან



ისაღ, შერჩეული მუსიკაც ისმოდა. სინათლე და მუსიკა კაზინოს ასოციაციას ქმნიდა, რომელიც ალქმის ორგანოებზე ზემოქმედებდა.

ბოქსებში მყოფ ვირთებს შექმლოთ, აერჩიათ „თამაშის“ ოთხი ვარიანტიდან ერთ-ერთი, რომელსაც შესაბამისი პრიზები და წაგების შემთხვევაში სასჯელი გააჩნდა. მოგებული ტკბილ სასუსნავს იღებდა, წაგებული კი საჯარო ზონაში გადაჰყავდათ და გარკვეული დრო თამაშში მონაწილეობას ვერ იღებდა.

ჭკვიანმა ვირთებმა მაშინვე მოიფიქრეს, რომ მაღალ რისკებს დიდი წაგება ახლავს და მსხვილი თამაში ნაკლებად მომგებიანია. ამიტომაც ისინი მინიმალური რისკის შემცველ თამაშს ირჩევდნენ და წაგების შემთხვევაში ნაკლებად ნაღვლობდნენ, ვინაიდან მეტწილად მოგებულები რჩებოდნენ.

დამოკიდებული მოთამაშეებიც მსგავსად იქცვიან: იმ შემთხვევაში, როცა დიდი მოგება შესაძლებელია, ისინი დიდი ალბათობით მიდიან რისკზე და არ ითვალისწინებენ წაგების შედეგებს. ამავე დროს მოგება კიდევ უფრო მეტ სტიმულს აძლევს მათ, ისევე როგორც ნარკოტიკის დოზა მოქმედებს ტვინის დოფამინურ რეცეპტორებზე.

მეცნიერებმა სპეციალური პრეპარატებით აზარტულ ვირთებს დაუბლოკეს ეს რეცეპტორები, რის შედეგადაც მღრღნელები ნაკლებად რისკავდნენ და დროთა განმავლობაში თამაშზე დამოკიდებულ ქცევას ნაკლებად აჩვენებდნენ.

მეცნიერების ვარაუდით ადამიანების შემთხვევაშიც შეიძლება ამ სტრატეგიის გამოყენება. მაგრამ თამაშზე დამოკიდებულებასთან ბრძოლის მოცემული მეთოდი უნივერსალური არაა: დოფამინური რეცეპტორების დაბლოკვა ნაკლებად მოქმედებს იმ ვირთებზე, რომლებიც ბოქსებში სინათლისა და მუსიკის გარეშე თამაშობდნენ.

alioni.info

### ქალისა და კაცის ინფარქტებს შორის განსხვავება აღმოაჩინეს



ქალის ინფარქტის მიზეზები, სიმპტომები და შედეგები ხშირად მამაკაცურისგან განსხვავდება.

მოუხედავად იმისა, რომ აშშ-ში 21-ე საუკუნეში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან სიკვდილიანობა საგრძობად შემცირდა, ქალები ინფარქტით უფრო ხშირად იღუპებიან, ვიდრე მამაკაცები. მეცნიერები ამას იმით ხსნიან, რომ ქალებში გულის დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა ჯერ კიდევ არაა სასურველ დონეზე აყვანილი.

მიოკარდის ინფარქტის მიზეზად გულისკენ მიმავალი ძირითადი არტერიების დაცობა მიაჩნიათ (თრომბოზი). ქალებში დაცობა უფრო ნაკლებად სერიოზულია, ვიდრე კაცებში, მათ უფრო ნაკლებად სჭირდებათ სტენტირება. სამაგიეროდ ქალებში უფრო ხშირად ზიანდება კორონალური არტერია, რაც გულის კუნთის სისხლით მომარაგებაში შეფერხებას ქმნის. ამ პროცესის შედეგი იგივეა – ინფარქტი.

მკერდის არეში ტკივილი ორივე სქესისთვის ინფარქტის მთავარი სიმპტომია, მაგრამ ქალებს უფრო ხშირად არარტიკული სიმპტომები ემართებათ (ხუთვა, პირღებინება, ზურგის ტკივილი).

რაც შეეხება მკურნალობას, ქალებს სისხლის მიმოქცევის აღდგენის შემდგომ უფრო მძიმე გართულებები შეიძლება დაემართათ. საქმე ისაა, რომ მათი სისხლძარღვები უფრო პატარებია (ყოველ შემთხვევაში აშშ-ში), ისინი უფრო იტანჯებიან ისეთი რისკ-ფაქტორებით, როგორცაა დიაბეტი და მაღალი წნევა. ამას გარდა, მათ უფრო ნაკლებად უტარებენ კარდიორეაბილიტაციას და ბევრს აღდგენითი მკურნალობა იმეათად მიჰყავს ბოლომდე.

alioni.info

### აივ-ინფიცირებულთა მკურნალობის სტრატეგია იცვლება?

გაერთიანებული ერების „აივ-შიდსის“ პროგრამის მონიტორინგის მიხედვით, აივ-ინფიცირებულთა მკურნალობის სტრატეგია.

ექსპერტთა რჩევით, ანტი-რეტრო ვირუსული პრეპარატების მიღების დანერგვა დაუწყებელია, დიაგნოზის დასისთანავე უნდა მოხდეს. ამჟამად ადამიანების მკურნალობას მხოლოდ მაშინ იწყებენ, როდესაც სისხლში თეთრი უჯრედები, გარკვეულ ნიშნულზე დაბლა ეცემა. ექსპერტიზა, რომელიც ოცდათხუთმეტი ქვეყნიდან 4685 ინფიცირებული მონაწილეობდა, ახალი პრეპარატის ეფექტურობა დაამტკიცა. მკურნალობის ადრეულად დაწყებამ შიდსის, სიკვდილის, ღვიძლთან და თირკმელთან დაკავშირებული გართულებების რისკის ორჯერ შემცირება შესაძლებელი გახდა. ასევე, ვირუსული დატვირთვის შემცირების ხარჯზე დაინფიცირების ალბათობა მცირდება. ექსპერტთა თქმით, სიტუაციის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს, აივ-ინფექციის სახლის პირობებში გამოსავლენი ტესტების დანერგვა. დიდ ბრიტანეთში უკვე დაუშვეს აივ-ინფექციის პირველი ლეგალური ტესტის გაყიდვა. ტესტი, რომელიც ინტერნეტით იყიდება, სახლის პირობებში გამოყენებისთვისაა განსაზღვრული. ადამიანს პასუხის გაგება 15 წუთში, ყოველგვარი ლაბორატორიებისა და რთული მოწყობილობების გარეშე შეუძლება.

postalioni.com



### ვირუსი „ზიკა“ ევროპაშიც გამოვლინდა



ახალი ვირუსი „ზიკა“ ევროპაშიც გამოვლინდა. აღნიშნული ვირუსი დანიის მცხოვრებს დაუდგინდა.

დანიის ტერიტორიაზე ეს „ზიკას“ გამოვლენის პირველი შემთხვევაა. აღსანიშნავია, რომ დანიის მოქალაქემ, რომელსაც ვირუსი „ზიკა“ დაუდგინდა, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში იმოგზაურა.

„ზიკა“, რომლის გადამტანებიც მწერები არიან, ლათინური ამერიკის ქვეყნებში სწრაფად ვრცელდება. ვირუსი ახალშობილებში დეფექტს იწვევს. ამიტომ, ამის თავიდან აცილების მიზნით, ქალებს რამდენიმე ქვეყანაში 2018 წლამდე დაორსულებისგან თავის შეკავება ურჩიეს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, რეგიონის 20 დასახლებული ტერიტორია, მათ შორის ბარბადოსი და ბოლივია, გვადალუპე და გვატემალა, ასევე, პუერტო-რიკო და პანამა, ვირუსის გავრცელების არეალია.

ბოლო ოთხი თვის განმავლობაში, დაახლოებით 4 000 შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ვირუსმა ახალშობილებში მიკროცეფალია გამოიწვია.

აღნიშნულ შემთხვევაში, ახალშობილის თავის ქალა ზომამ ნორმაზე ორ-სამჯერ ნაკლებია, რაც თავის ტვინის განვითარებას უშლის ხელს. ვირუსი „ზიკა“ განუკურნებელია.

info9.ge

### ნორვეგიელმა ფიზიკოსმა პრაქტიკული მაგალითისთვის მუცელში ტყვია ისროლა

ნორვეგიელმა ფიზიკოსმა ანდრეს ვალმა გადანიშნა, რომ ასჯერ გააიწიოს ერთხელ ნახშირის სფერო, ამიტომ თეორიებისა და სტატისტიკის გარჩევასა და კიდევ ერთი მოსაწყენი ლექციის წაკითხვას პრაქტიკული მაგალითის ჩვენება აძლავს.

აუშუი ტყვიის სასროლი ავტომატი სპეციალურ შტატივზე, ანდრესისგან რამდენიმე მეტრის დაშორებით იდგა. თოკის ერთი ბოლო იარაღზე იყო დამაგრებული, მეორე კი ანდრესს ხელში ეჭირა.

თოკის გაქაჩვით ტყვია პროფესორს პირდაპირ მუცელში ხვდებოდა.

ვალი ასეც მოიქცა, მაგრამ ვინაიდან წყალი ჰაერზე უფრო მკვრივია, ტყვიის სიჩქარე გასროლისთანავე დეცა, რაც იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკოს პროფესორამდე არ მიუღწევია და შესაბამისად, არც ზიანი მოუყენებია.

ვალის სალექტორო პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა პრაქტიკული მაგალითით ცდილობდა, სტუდენტებისთვის ეჩვენებინა ის, რაც ქალაქში წერია და რაც ერთი შეხედვით ძნელად დასაჯერებელია. ცოტა ხნით ადრე მან თავისი სტუდენტები დიდი სიმაღლიდან გადმოხტომით ცენტრიდანული ძალის მაგალითის ჩვენებით გაანებრვა.

lenta.ru




### 43 წლის მამაკაცმა მარჯვენა თვალი ამოიღო და კამერა ჩაისვა

43 წლის კანადელმა მამაკაცმა, რომ სვენმა ერთი თვალის ამოღება და მის ნაცვლად კამერის ჩასმა განაცხადდა.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სენი პატარა იყო, უბედური შემთხვევის გამო ცალ თვალში მხედველობა დაკარგა. ახლა კი პროთეზი კამერით შეცვალა.

მისი ახალი თვალი ჩვეულებრივ პროთეზს ჰგავს, შიგნით კი კამერა დამონტაჟებული. კამერა მხედველობის ნერვთან არ არის დაკავშირებული, ამიტომ სვენს დანახვა არ შეუძლია, თუმცა სამშუთიანი ვიდეოს გადაღებას კი ახერხებს.

newpostst.ge



### ქვეყანა, სადაც ქალები მამაკაცებს ეძებენ

მსოფლიოს მასშტაბით არის ქვეყნები, სადაც ქალები მამაკაცებთან შედარებით ჭარბობენ და მათ შორისაა ავსტრალია.

ქვეყნის უმსხვილეს ქალაქებში ქალების რაოდენობა მამაკაცების რაოდენობას 200 000-ით აღემატება.

კვლევების შედეგების თანახმად, ავსტრალიაში ყოველი 20 ბავშვიდან 17 გოგო იბადება.

ქვეყნის ულამაზესი ქალები სიყვარულს ხშირად ქვეყნის გარეთ ეძებენ. ასევე, ბოლო 2 წლის განმავლობაში აღმოჩნდა, რომ ავსტრალიელ გოგონებს, რომელთა ასაკიც 20-დან 35 წლამდეა, მეგობარი ბიჭის მოძებნა ძალიან უჭირთ.

მამაკაცების სამსახურის შოვნის მიზნით ქვეყანას ხშირად ტოვებენ, ეს ფაქტი კი მამრობითი სქესის დეფიციტს ორმაგად ზრდის.

ავსტრალიას მსოფლიოში შოუბიზნესის ცნობილი სახეები ჰყავს. ესენია: ნიკოლ კიდმანი, კაილი მინოუჯი, მირანდა კერი და სხვები.

plus.kvira.ge



### სექსის დროს გარშემოც მიმოიხედეთ! — რატომ მოაჭრეს ახალგაზრდა ბიჭს ხელი?



უბედური შემთხვევა ბაქოში, ნასიმინის რაიონში მოხდა. რაიონის პოლიციის განცხადებით, აზერბაიჯანის დედაქალაქში მცხოვრები 21 წლის ფაგან ფარაზლიევი და მისი შეყვარებული 20 წლის გოგონა, განმარტობისთვის ელექტროტრანსფორმატორის ჯიხურში შექვრნენ. ბიჭმა გაუფრთხილებლობის შედეგად, ხელი სადენს მოჰკიდა, რის შემდეგაც დენმა დაარტყა. შემთხვევის დროს ბიჭს მეორე ხელი გოგონაზე ჰქონდა მოკიდებული, ამიტომ ელექტროენერგია მასზეც გადავიდა. დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ბიჭიც და გოგონაც ელექტროენერგიის ძალამ ჯიხურის გარეთ გადამოყარა.

მიყენებული დამწვრობითა და ტრავმებით, ახალგაზრდები საავადმყოფოში გადაიყვანეს. სხეულის დაზიანება ძლიერი აღმოჩნდა და ექიმებს ახალგაზრდა ბიჭისთვის ხელის ამპუტაცია დასჭირდა. მომხდარზე გამოძიება უკვე დაიწყო. წინასწარი ინფორმაციით, არსებობს 3 ვერსია, თუ რატომ დასჭირდა ახალგაზრდებს ელექტროჯიხურში განმარტობა. სასიყვარულო პაემანის გარდა, ცნობისმოყვარეობისა და ხულიგნობის ვერსიებიც განიხილება.

plus.kvira.ge

### ჩინეთში რესტორნები სანელებლად თბიუმს იყენებდნენ

ხერხი სჯობია, ღონესაო თქვეს ჩინეთში და თბიუმის სანელებლად გასაღება დაიწყეს. კაცმა რომ თქვას, სპეციალური ლაბორატორიული აღჭურვილობის გარეშე კეტჩუპ ჩილისა და სანელებლებში გარეულ თბიუმს ვერც აღმოაჩენ და რატომ არ უნდა ეხმარათ ნარკოტიკული თრობის მოყვარულ ჩინელებს ეს ხერხი, გაუგებარია.



ოლონდ ესაა, მთლად უნაცროდაც არ გამოუვიდათ კოვზის გამოყენება, პოლიციამ გაიგო თბიუმის არალეგალური გავრცელების შესახებ და ამ მიზეზით 35 რესტორანი ერთმანეთის მიყოლებით დახურა. როგორც ჩანს, პოლიციას თბიუმის გავრცელებაზე უკვე დიდი ხანია აქვს ეჭვი. მაგალითად, 2014 წელს მაკარონის გამოყენებული ნარკოტიკის გავლის შემდეგ დააკავეს. 2012 წელს ნინსიას პროვინციაში 7 რესტორანი სწორედ ამ მიზეზით დაიკეტა. 2004 წელს კი ნარკოტიკის ჭარბმა სიყვარულმა გუიჩჟოუს 215 რესტორანი შეინირა. მიუხედავად გამკაცრებული კონტროლისა, დასავლეთ ჩინეთში 1 კილოგრამი თბიუმის დაახლოებით 60 დოლარად შექენა მაინც მარტივად შესაძლებელი.

anekdot-dnya.ru



– ჩემი და სულ გადაირია – ბიჭვით გამოეწყო და ჯარში წავიდა!  
– რა სისულელეა?! მერე აბანოში ხომ ყველა დაინახავს და ვილაც უეჭველი დააბეზლებს!  
– რას ამბობ, ვინ დააბეზლებს...

ქალი:  
– ძვირფასო, მინდა, შენთან ერთად ვიცხოვრო დიდხანს და ბედნიერად! მამაკაცი:  
– საყვარელო, შენ თუ ბედნიერად იცხოვრებ, მე დიდხანს ნამდვილად ვერ გაგეჭაჩავ..



– ოფიციატო, რას აკეთებს ეს ორი ბუზი ჩემს წვნიანში?!  
ოფიციატმა სათვალე გაიკეთა, დახედა წვნიანს, უყურა, უყურა და:  
– ეს ნამპლები სულ თავს გავიდნენ – მგონი, სექსით არიან დაკავებული..

ფრაზა: „სად ფსამ, შე დამპალო, ამ წუთას მოვწმინდე!!!“ დამლაგებელმა ყუყუნამ, რომელიც 25 წელია, აეროპორტში მუშაობს, 70 ენაზე იცის...

ქმარი ცოლს:  
– ძვირფასო, როგორი ყავა გინდა?  
– როგორი და ძალიან მაგარი, ოლონდ მსუბუქი, უხეში და თან მსუბუქი, რომელიც მთელ ჩემს შინაგან არსებას თავდაყირა დააყენებს, გამიღებს ცდუნების სამყაროსა და შეუკავებელი გრძობების კარებს, თავბრუს დამახვევს და ახალ შეგრძნებებს გამიჩენს...  
– შენა და იქნებ, უბრალოდ, არაყი ჩაგერტყა?!

– ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შოკოლადი განწყობას ამალავს...  
– ჰმ! ეტყობა, მაგათ არაყი არ გაუსინჯავთ...



ქმარი ცოლს:  
– ჩემო ლამაზო, მეტყვი ხოლმე, როცა ორგაზმი გექნება?  
– ჰო, მაგრამ საყვარელო, ყოველჯერზე სად გირეკო ხოლმე სამსახურში?..

მოაზნადა მიხილ სახაკემ დავით ახოპაძის ნახატი

### ამ პატარამ მხედველობის 75 პროცენტი სწორედ იმ სათამაშოს გამო დაკარგა, რომელიც თითქმის ყველა ოჯახში მითბოყება



უამრავ ოჯახში მითბოყება ლაზერული მიმართობელი. როგორც წესი, უფროსები ამ მოწყობილობისადმი დიდ სიფრთხილეს არ იჩენენ და ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ადგილას ინახავენ. ბავშვებისთვის კი, ის ერთ-ერთი საყვარელი გასართობია.

ამ სათამაშოს მწარმოებელი ქვეყანა ძირითადად ჩინეთია. მსგავს პროდუქტებს ყველანაირი ნორმის დარღვევით ამზადებენ, რის გამოც მათი ბავშვის სათამაშოს სახით გამოყენება აკრძალულია.

7 წლის ბიჭუნას, რომელმაც ლაზერი თვალეში სულ რამდენიმე წამით მიინათა, მხედველობა 75 პროცენტით დაუქვეითდა. თავდაპირველად არანაირი ტკივილი არ ჰქონია. ექიმს მხოლოდ მას შემდეგ მიმართეს, რაც ბიჭმა მხედველობასთან დაკავშირებით ჩივილი დაიწყო.

ექიმებმა კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ მხედველობის დაქვეითება თვალის მაკულის დაზიანებამ გამოიწვია, რაც იმას ნიშნავს, რომ მხედველობის აღდგენის ერთადერთი გზა მიკროქირურგია.

მშობლებო, გამოიჩინეთ სიფრთხილე და ბავშვებს ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთებით გართობის უფლებას ნუ მისცემთ.

fpaparazzi.com

### მომღერალი ვალერია გარდაიცვალა?



რუსი მომღერლის ვალერიას გარდაცვალების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას მომღერლის ახლო ბიჭი „სრულ სისულელეს“ უწოდებენ. უკრაინულმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ რუსი მომღერალი,

ვალერია გარდაიცვალა. ურნალისტებმა დაწერეს, რომ პოპულარული მომღერალი და მისი მეუღლე, სმოლენსკთან ავტოავარიაში მოყვნენ. ასევე, მედია წერდა, რომ საქსთან მისი მეუღლე და პროდიუსერი იოსიფ პრიგოფინი იჯდა. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, მომღერლის ახლო ბიჭმა ინფორმაციის გადამოწმება დაიწყო. როგორ ვალერიას ერთ-ერთი მეგობარი სოციალურ ქსელში წერს, ინფორმაცია ვალერიას გარდაცვალების შესახებ „სისულელეა“.

info9.ge

### ამერიკის ციხიდან საშიში დამნაშავე — მეორე „ჰანიბალ ლექტერი“ გაიქცა

ამერიკაში, კალიფორნიის შტატში, სანტა-ანეს ციხიდან გაქცევა საშიშმა დამნაშავემ, ჰუსეინ ნაიერმა დაგეგმა. ოქტის გენერალური პროკურორის მოადგილის ორანჯ ჰიზერ ბრაუნის განცხადებით, გასულ პარასკევს ციხიდან სამი მსჯავრდადებული გაიქცა. მისი თქმით, მათ შორის მეორე „ჰანიბალ ლექტერად“ ცნობილი ჰუსეინ ნაიერია.



დამნაშავე, რომელიც მაღალჩინოსანმა „კრავთა დუმლიდან“ ენტონი ჰოპკინსის პერსონალს შეადარა, ირანში დაიბადა. ჰუსეინს ჩადენილი აქვს სისხლიანი და სასტიკი დანაშაულებების სერია. მათ შორის, 2012 წელს, ნარკოდირი გაიტაცა, რომელიც სასტიკად აწამა.

ნაიერი იმავე წელს აშშ-ში დააკავეს, როცა ის ესპანეთში გაფრენას ცდილობდა. მიმდინარე წლის 22 იანვარს, ჰუსეინ ნაიერი ორ მსჯავრდადებულთან ერთად ციხიდან გაიქცა. გაქცეულების შესახებ ინფორმაციისთვის კალიფორნიის შტატის ხელისუფლებამ ჯილდოდ 50 000 აშშ დოლარი დაანწესა.

პროკურორის განცხადებით, ციხის ხელმძღვანელობამ შეცდომა დაუშვა, როდესაც საშიში დამნაშავე არა სპეციალურ, არამედ ჩვეულებრივი რეჟიმის საკანში მოათავსა.

info9.ge

### ფოტოგრაფმა ვეროპელ ბინესმენს 1 მილიონ ვეროდ კარტოფილის ფოტო მიჰყიდა

ფოტოგრაფმა, რომელიც ცნობილია ისეთი ვარსკვლავების პორტრეტების გადაღებით, როგორებიც არიან ჯონი დეპი, იოკონო და ბობ გელდოფი, კარტოფილის ფოტო 1 მილიონ ვეროდ გაყიდა.



46 წლის კევინ ებოშმა დაადასტურა, რომ ჩვეულებრივი კარტოფილის ამოხეჭილი ფოტო ვეროპელმა ბინესმენმა იყიდა. ფოტოგრაფმა ირლანდიური კარტოფილი 2010 წელს, შუა ფონზე, სინათლის ერთი სხივის ქვეშ, ციფრული კამერით გადაიღო.

როგორც ებოშმა თქვა, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მისი ფოტო კედლიდან იყიდეს, – „ჩვენ ორი ჭიქა ღვინო დავლიეთ და მან თქვა – მართლა ძალიან მომწონს ეს. კიდევ ორი ჭიქის შემდეგ კი თქვა, – მე მართლა მინდა ის“.

news.ge





ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. სიღრმის გამოწვევა	2. ხელოვნური სიღრმის დამუშავება	3. ანალიზის პროექტი			4. მხრის ფენა	5. შერეული მერიტივი	6. ნასესხები ფული							
7. კლიმატი	8. მხ/ფ	9. სოფი			10. პიკეტაჟი	11. ლატვის								
13. ჩინეთის დიდი	12. სასოფლო-სამეურნეო	14. იპოთეკური												
16. მტაცებელი	15. ტაი-ლანდის	17. ლო-დენის												
18. მსახიობი	19. ტალიანი	20. იტალიის			21. პოპულარული	22. ვაზი	23. უაზრო სიტუაცია	24. მსახიობი	25. რე-ფიცი	26. ტაი-ლანდის	27. კავშირული			
28. ისრაელის	32. დაბალი	33. მრავალ	34. ბალკონი	35. დასაძინებელი	36. მდინარე	37. რე-ფიცი	38. მოდელი	39. ლინო	40. ავტოსადგომი	41. სხვა	42. ავტოსადგომი			
43. გოეთის	44. დი-ვიზი	45. სემინარი	46. ძალიანი	47. მსახიობი	48. ყვავილი	49. მსახიობი	50. სპორტის	51. კოლის	52. მსახიობი	53. ქალაქი	54. კინ-დარმე	55. ნიშანი	56. საყვარელი	
57. ს	58. მათა	59. ქედის	60. სივრცის	61. ფასდა-სტრუქტურა	62. სასაბუკო	63. ხორბლის	64. ქარი	65. მხ/ფ	66. მე-ვილინი	67. მხ/ფ	68. ფასდა-სტრუქტურა	69. ახალგა-ზრდა	70. ხასიათი	71. ნიშანი
72. მსახიობი	73. მსახიობი	74. მსახიობი	75. ნაპურთბი	76. მსახიობი	77. ნიშანი	78. მისი	79. მისი	80. რიგი	81. მისი	82. მისი	83. მისი	84. მისი	85. მისი	86. მისი
87. მისი	88. მისი	89. მისი	90. მისი	91. მისი	92. მისი	93. მისი	94. მისი	95. მისი	96. მისი	97. მისი	98. მისი	99. მისი	100. მისი	101. მისი
102. მისი	103. მისი	104. მისი	105. მისი	106. მისი	107. მისი	108. მისი	109. მისი	110. მისი	111. მისი	112. მისი	113. მისი	114. მისი	115. მისი	116. მისი
117. მისი	118. მისი	119. მისი	120. მისი	121. მისი	122. მისი	123. მისი	124. მისი	125. მისი	126. მისი	127. მისი	128. მისი	129. მისი	130. მისი	131. მისი
132. მისი	133. მისი	134. მისი	135. მისი	136. მისი	137. მისი	138. მისი	139. მისი	140. მისი	141. მისი	142. მისი	143. მისი	144. მისი	145. მისი	146. მისი

Small text at the bottom of the page, likely containing contact information or legal notices.

